

# თბილისი პრაიდი აკის ღვბზე აღამიანებისა და მხარდაჭერების სამოქალაქო გაერთიანება, რომელიც:

- იბრძვის ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ქვიარ ადამიანების სამოქალაქო უფლებებისთვის საქართველოში;
- აორგანიზებს ყოველწლიურ პრაიდ კვირეულს თბილისში;
- ახორციელებს სოციალურ კამპანიებს და მუშაობს ლგბტქ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად;
- ადვოკატირებს და ცდილობს, გავლენა მოახდინოს სამართლებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებზე საქართველოში.

თბილისი პრაიდი ახორციელებს პროექტს, "აგაყი ოჯახები", რომელიც მიზნად ისახავს ღვბზე აღამიანების ოჯახის წევრების გაძლიერებას!

*პროექტი შეიქმნა ლგბტქ ადამიანების ოჯახებისთვის, რომლებმაც უკვე გაიარეს, ან ახლა გადიან ქამინგაუთის პროცესს.*



# აგაყი ოჯახები



თუ თქვენმა შვილმა ახლახანს გაგიმხილათ საკუთარი იდენტობის შესახებ, თქვენ დიდი ალბათობით რთულ ვითარებაში აღმოჩნდით. ისევე, როგორც ძალიან ბევრი მშობელი მსგავს სიტუაციაში, თქვენც შეიძლება იხლიჩებოდეთ შვილის სიყვარულსა და საზოგადოების "შეკვეთას" შორის, რადგან მარტივი არ არის ამ საზოგადოებაში ხმამაღლა თქვა - ჩემი შვილი გეია, ლესბოსელია ან ტრანსგენდერია. ყოველივე ეს მშობლებისთვის მძიმე განცდებთან არის დაკავშირებული და რეალობის მისაღებად რაღაც გზის გავლაა საჭირო, რაშიც ხშირად მხარდაჭერაა საჭირო.



ყოველივე ეს მშობლებისთვის მძიმე განცდებთან არის დაკავშირებული და რეალობის მისაღებად რაღაც გზის გავლა სჭირდებათ, რაშიც ხშირად მხარდაჭერას საჭიროებენ. ალბათ უნდა გახსოვდეთ, რა დევს სასწორზე? გასაგებია, რომ თქვენთვის ეს აღიარება საკმაოდ მძიმე განცდებთან არის დაკავშირებული და რეალობის მისაღებად რაღაც გზის გავლა გჭირდებათ, ამ დროს არსებითია თქვენი მხარდაჭერაც. მთავარი, რაც ალბათ სულ უნდა გახსოვდეთ, არის იმის გაცნობიერება თუ რა დევს სასწორზე? მნიშვნელოვანია საკუთარ თავთან დიალოგში პასუხი გასცეთ შეკითხვას - არის სამყაროში რაიმე, რაც შვილის სიყვარულს გადანონის?

იცოდეთ, რომ ეს გამოცდილება შვილისთვისაც ძალიან სტრესულია, რადგან ჰომოფობიური საზოგადოების კონტექსტში თავისი იდენტობის გამო იჩაგრება და უარყოფილია. გახსოვდეთ, რომ თქვენ წარსულში რაც არ უნდა სხვანაირად გაგეკეთებინათ ან ახლა გააკეთოთ, ვერაფერი შეცვლის მის ორიენტაციას ან იდენტობას. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ დაუხმაროთ მას და უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულოთ მისი კეთილდღეობისთვის.

მთავარობთ ჩამდინივე ჩრვეს, ჩსას სხვა, უკვე გამოხდილი მშობლები აქლვეს  
ღებზე აღაშინაზის მშობლებს:

- შეინარჩუნეთ სიმშვიდე!
- შეინარჩუნეთ კონტაქტი შვილთან (თუ სიტუაცია გართულდა და მან სახლი დატოვა);
- მოუსმინეთ საკუთარ გულს და ნაკლებად იფიქრეთ იმაზე, რა შეიძლება თქვას სხვამ;
- გაცვანით რელევანტურ და სანდო ინფორმაციას ლგბტქ საკითხებზე;
- გიყვარდეთ უპირობოდ!

გახსოვდეთ, რომ ღებზე აღაშინაზი ორინაზასიას და იღანზობას აჩ იჩრვეს, თქვენ კი უბიძლიათ აიჩრით როზოჩი მშობლები გინდათ რომ იყოთ მისთვის!



საპატრულო უსსოვრე ოჯახის წევრებს კი უკვე შეგიძლიათ ჩაერთოთ თბილისის პაილის პროექტში, რომლის ფარგლებშიც ღებზე აღაშენებთ ოჯახის წევრებს საშუალება ექნებათ:

- გაიცნონ სხვა ლგბტქ ადამიანების მშობლები და ოჯახის წევრები;
- მიიღონ სწორი ინფორმაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებზე;
- გაიგონ მეტი ლგბტქ ადამიანების მიღწევებსა და გამოწვევებზე;
- ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი შეხედულებები და გამოცდილებები - უსაფრთხო, მეგობრულ და კონფიდენციალურ გარემოში;
- მოისმინონ ლექციები და ჩაერთონ დისკუსიაში სხვადასხვა სფეროს ექსპერტებთან, რომლებიც ლგბტქ საკითხებზე მუშობენ - მათ შორის, ფსიქოლოგებთან, იურისტებთან, სასულიერო პირებთან, აქტივისტებთან და ა.შ.;
- მიიღონ უფასო ფსიქოლოგიური დახმარების სერვისი;
- მონაწილეობა მიიღონ ტრენინგებში, ფილმის ჩვენებებსა და დისკუსიებში.

ლგბტქ თემის წარმომადგენლებს უფრო ხშირად უვითარდებათ დეპრესიის, შფოთვითი აშლილობის და პოსტრავმული სიმპტომები, საზოგადოებაში მათდამი არსებული დამოკიდებულებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გამო.

ლგბტქ თემის ახალგაზრდა წარმომადგენლებში 3-ჯერ და 4-ჯერ უფრო მაღალია სუიციდის რისკი და დასრულებული სუიციდის შემთხვევები.

ლგბტქ თემის წარმომადგენელ მოზარდებს ან ზრდასრულებს, რომლებსაც ახასიათებთ არაჰეტერონორმატიული გარეგნობა, ქცევები, ჩაცმულობა ერთ-ერთი კვლევის მიხედვით დღეში 26-ჯერ მაინც ესმოდათ საკუთარ თავზე სიტყვიერი თავდასხმის შედეგად შეურაცხმყოფელი სიტყვები.

ის, რომ ლგბტქ თემის წარმომადგენლები საზოგადოების მიერ აღქმული არიან მიუღებლად, გარიყულად, „ავადმყოფებად“, „ცოდვილებად“ ხშირად ნორმალიზებულია, დამკვიდრებულ ნორმადაა აღიარებული. სწორედ ამ არასწორი დამოკიდებულების გამო, ხშირ შემთხვევაში ისინი ირიყებიან საკუთარი ოჯახის წევრების მიერ და მათი უმრავლესობა არის სახლიდან გაძევებული, რაც ასევე, „ნორმალურ“ მოვლენად აღიქმება საზოგადოების უმრავლესობის მიერ.

ლგბტქ თემის წარმომადგენლების გარიყულობა ოჯახიდან, სასწავლო დაწესებულებებიდან, საზოგადოებიდან მჭიდრო კავშირშია მარტოობის, გარიყულობის განცდებთან-დეპრესიასთან და სუიციდთან.

“მე ნამდვილად გესმის, რაღონ უზუბუნ ადამიანები უხულოებს თუნიანთ უვიღებთან, მებრებ ამასთანავე კაკბად ვიხი, რა ღირი ბედნიერებუნ, როუნ მათი მხარდამჭერი ხარ, როუნ აუნსებ მათ, მათი თვადით უბვიძლია უუურო სარყარონს და მიხვდუნ, როუნ ადამიანებს ბებრად მებრი რამ გვანკითიანებს, ვიღრე გვუოფს, როუნ რვენ უბვიძლია ერთად უბვიწინაალმდებრთ უზვადარე იმას, რან ასე მკანრად და დანაუბადებრევივად გვანხადკებებს, ერთად დავბდიოთ უიუი და არ დავუზუვანთ სიბუბვიღი.”

-ნანა ფანცულაია



## ღექსიკონი:

- **ღესბოსელი** - ქალი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს სხვა ქალი.
- **გეი** - კაცი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს სხვა კაცი.
- **ბისექსუალი** - ადამიანი, რომელიც განიცდის ემოციურ და ფიზიკურ მიზიდულობას ორივე სქესის ადამიანის მიმართ.
- **ტრანსგენდერი** - ადამიანი, რომლის გენდერული იდენტობა, გამოხატვა და ქცევა განსხვავდება მისი ბიოლოგიური სქესის ტიპური მახასიათებლებისგან. ჩვეულებრივ, განასხვავებენ ტრანსგენდერ ქალს, ტრანსგენდერ კაცს და არაბინარული გენდერული იდენტობის მქონე ადამიანების სპექტრს.
- **ქვიარი** - კრებითი ტერმინი, ქვიარი გამოიყენება ზოგადად ლგბტ თემის, არაჰეტეროსექსუალი ან/და გენდერულად არანორმატიული ადამიანების აღსანიშნავად.
- **ქამინგაუტი** - საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის მიღებისა და სხვებისთვის გაცხადების პროცესი.

ბროშურა მოამზადა თბილისი პრაიდმა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWTI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია თბილისი პრაიდი. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWTI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების შეხედულებებს.



TBILISIPRIDE



TBILISIPRIDE@GMAIL.COM



TBILISIPRIDE



TIFLISPRIDE



(+995) 599 89 72 42



WWW.TBILISIPRIDE.GE